



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 213

ქალაქი ქუთაისი 25 ნოემბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს N561-N563 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის N168 პუნქტის გასწვრივ, მე-6 სვეტში, ჩანაწერი: „125.0 ლარი 1 კვ.მ.-ზე“, შეიცვალოს ჩანაწერთი: „104.0 ლარი 1 კვ.მ.-ზე“, ხოლო, N404 პუნქტის გასწვრივ, მე-4 სვეტში, ჩანაწერი: „238“, შეიცვალოს ჩანაწერთი: „195“.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/,მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
561	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი N30-ის ჩრდილოეთით	36.0	03.05.23.395	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
562	მიწის ნაკვეთი	რუსთაველის გამზირი N104ა-ს აღმოსავლეთით	101.0	03.02.21.354	125.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
563	მიწის ნაკვეთი	გუგუწავას ქუჩა N15-ის ჩრდილოეთით	64.0	03.05.24.896	38.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია